გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი:ნათელა მაჭარაშვილი	
საგანი:ისტორია	**კლასი:**VII[1] კლასი
თემა:ადრეული ცივილიზაციების კანონებიდან კლასის კოსტიტუციამდე	**დრო:** ..45..... წუთი.
მოსწავლეთა პროფილი: 21 მოსწავლე კლასში არ არის სსსმ მოსწავლე	
გაკვეთილის მიზანი: –მოსწავლეები შეძლებენ მსჯელობას ადრეული ცივილიზაციების კანონმდებლობაზე და ამავე კანონების მიღების საფუძვლებზე; –მოსწავლეები შეძლებენ ვარაუდების გამოთქმას იმ საფრთხეებზე, რომელიც დამნაშავე ადამიანის დაუსჯელობას შეიძლება მოჰყვეს; – მოსწავლეები იმსჯელებენ დანაშაულის პრევენციის მექანიზმზე; –მოსწავლეები შეიმუშავებენ კლასის კონსტიტუციას; **მოსალოდნელი შედეგები:** –მოსწავლეები იმსჯელებენ ძველეგვიპტურ, ძველჩინურ თუ შუამდინარულ კანონებზე და მათი მიღების საფუძვლებზე; –მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს იმ საფრთხეებზე, რომელიც დამნაშავე ადამიანის დაუსჯელობას შეიძლება მოჰყვეს; – მოსწავლეები შემოგვთავაზებენ დანაშაულის პრევენციის კონკრეტულ მექანიზმებს; –მოსწავლეები შექმნიან კლასის კონსტიტუციას;	

ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტი: ისტ.VII.8.მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა წესი,ნორმა, კანონი და ტრადიცია განასხვაოს ამა თუ იმ ეპოქისადმი მათი კუთვნილების მიხედვით. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: -ადარებს სხვადასხვა ეპოქის ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობას; -საკუთარი დაკვირვებიდან გამომდინარე მსჯელობს,თუ რა საფრთხეს უქმნის საზოგადოებასა და პიროვნებას დაუსჯელობა კანონის დარღვევისათვის; -თანაკლასელებთან ერთად შეიმუშავებს საკუთარი კლასის კონსტიტუციას;
საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები: **ცოდნა-**მოსწავლეებმა აქვთ წარმოდგენა ცალკეული ქვეყნების კანონების შესახებ,იციან მოსწავლეთა ქცევის წესები, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ასე რომ აქვთ საბაზისო ცოდნა კანონებთან მიმართებაში. **მოსწავლეებს უნდა განუვითარდეთ შემდეგი უნარ -ჩვევები:** -დაკვირვება/ამოცნობის უნარი; -ფაქტებისა და მოვლენების დაკავშირების უნარი შესაბამის ისტორიულ ეპოქასთან; -კრიტიკულად აზროვნების უნარი; -შემოქმედებითი აზროვნების უნარი; -ინფორმაციის დახარისხების უნარი; -მსჯელობის უნარი; -დასკვნების გაკეთების უნარი;

შეფასება:

ავითარებელი შეფასება – დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა, სიტყვიერი კომენტარი, ახსნა-განმარტება, არაფორმალური დაკვირვება(რუბრიკის გარეშე-უბრალოდ ვაკვირდები მოსწავლეთა მუშაობას და ვინიშნავ, რა ხარვეზი დაფიქსირდა და რისი გამოსწორება/გაუმჯობესებაა საჭირო),მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები(გაკვეთილის ბოლოს ვაანალიზებ);

დაკვირვების ფურცელი ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობისთვის

კრიტერიუმები	ჩართულობა /თანამშრომლობა	დროის მენეჯმენტი	იდეების არგუმენტირებულად დასაბუთება	წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის დროს

ერიუმები	ობს შესაბამის მოთხოვნას	რობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას	ს დროის ლიმიტს	რებს/ადარებს/აფასებს ფაქტებსა და მოვლენებს	ვლობს აუდიტორიას	

მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	**სრულად**	**ნაწილობრივ**	**ჭირდებათ დამატებითი მუშაობა**
მოსწავლეებმა იმსჯელეს ადრეული ცივილიზაციების კანონმდებლობაზე და მათი მიღების საფუძვლებზე;			
მოსწავლეებმა გამოთქვეს ვარაუდი იმ საფრთხეებზე საზოგადოებისა და პიროვნების მიმართ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს დამნაშავე ადამიანის დაუსჯელობას;			
მოსწავლეებმა იმსჯელეს დანაშაულის პრევენციის კონკრეტულ მექანიზმებზე;			
მოსწავლეებმა შექმნეს კლასის კონსტიტუცია;			

რესურსები:

-
- მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო;
-
-
- სამუშაო ფურცლები;
-

-
- ფლიპჩარტები;
-
-
- ისტორიული/სამართლებრივი ტექსტი;
-
-
- ქვიშის საათი;
-
-
- მარკერები;
-
-
- ფერადი ფანქრები;
-
-
- პაპირუსის ქაღალდი;
-
-
- ჩინურ ქაღალდზე შესრულებული ტექსტი;
-

-
- http://www.bu.org.ge/x1279?lang=geo--ხამურაბის კანონები-ლინკი მოცემულ დროზე-2.02.2019;
-

აქტივობა #1–გაკვეთილის თემის, მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.
აქტივობის აღწერა–მოსწავლეებს გავაცნობ საგაკვეთილო თემას , მიზანსა და შეფასების კრიტერიუმებს სიტყვიერად,პარალელურად ამობეჭდილ ვერსიას ვაფიქსირებ დაფაზე.
აქტივობის შედეგი–მოსწავლეები ყურადღების კონცენტრაციას მოახდენენ გაკვეთილის თემისა და მიზნის ირგვლივ.
დროის მენეჯმენტი–1წთ.

აქტივობა#2– სიტუაციის ანალიზი–ნაცნობი და უცნობი ფაქტების დაკავშირება.
აქტივობის აღწერა–მოსწავლეებს ვაცნობ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ერთ–ერთ მუხლს(ვუკითხავ სახელმძღვანელოდან), რომელიც ყველა სახელმძღვანელოს ახლავს. ,,მოზარდი უნდა იყოს:კანონმორჩილი... მოქალაქე,, და ვუსვამ კითხვას, თუ რას ნიშნავს სიტყვა ,,კანონმორჩილი''. მოსწავლეებმა აქვე უნდა გაიხსენონ მათთვის ნაცნობი კანონები თავიანთი რეგულირების სფეროთი. შემდეგ მოსწავლეებს ვუკითხავ კონფუცის იდეას კანონების შესახებ, რომელიც კანონებზე დამყარებული მმართველობის წინააღმდეგი იყო:,,თუ ხალხის მართვა განხორციელდება არა კანონების,არამედ სიქველისა და ტრადიციების საფუძველზე, ხალხს ეცოდინება, თუ რა არის სირცხვილი და გამოსწორდება''.მოსწავლეებს ვთხოვ გამოთქვან თავიანთი მოსაზრება კონფუცის სიტყვებთან დაკავშირებით–შესაძლებელია თუ არა კანონი ჩაანაცვლოს ტრადიციებმა. აქვე მოსწავლეებს ვთხოვ კონფუცის იდეის დაკავშირებას საქართველოს რომელიმე კუთხესთან, სადაც ტრადიცია უახლოეს წარსულში კანონზე მაღლა იდგა.
მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას, თუ რა სახის დანაშაული და სასჯელი შეიძლება ყოფილიყო ადრეული ცივილიზაციის ქვეყნებში, მაგ.ძველ ეგვიპტეში. ფლიპჩარტზე დაფიქსირებული მაქვს დანაშაულისა და სასჯელის ის ძირითადი სახეები, რომელიც დაფიქსირებულია ძველეგვიპტურ ისტორიულ წყაროებში და მოსწავლეების პასუხის შემდეგ ვაფიქსირებ დაფაზე და შესაბამისად, პაპირუსზე, რომელზედაც იწერებოდა ძველეგვიპტური კანონები.მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, რომელია ჩამოთვლილთაგან ყველაზე მძიმე დანაშაული და , შესაბამისად, ყველაზე მძიმე სასჯელი.
შემდეგ მოსწავლეებს წარვუდგენ ძველ ჩინურ ქაღალდზე დაწერილ კონკრეტულ ტექსტს, სადაც საუბარია ხელოვან ადამიანებზე, რომლებიც კანონის შესაბამისად შეიკრიბნენ.მოსწავლეებს ვთხოვ, რომ ახსნან ,რატომ არის ყურადღება გამახვილებული კანონზე ხელოვანი ადამიანების შეკრების დროს.
აქტივობის მიზანი–მოსწავლეები შეეცდებიან მათთვის ნაცნობი ინფორმაციის დაკავშირებას ახალ, უცნობ ფაქტებთან და გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს.
აქტივობის შედეგი–მოსწავლეები კონკრეტულ აქტივობაზე დაყრდნობით მოახდენენ მათთვის ნაცნობი ცოდნის დაკავშირებას ახალ (უცნობ) ფაქტებთან და შესაბამისი დასკვნების გაკეთებით გარკვეულ საფუძველს შეიქმნიან შემდეგი აქტივობის სრულყოფილად შესასრულებლად.
კლასის ორგანიზების ფორმა–ინდივიდუალური
დროის მენეჯმენტი–7წთ.

აქტივობა #3-„სასწავლო მენიუ„ -პირველი ეტაპი-სავალდებულო დავალებები

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს ჯერ ვთხოვ გაიხსენონ „სასწავლო მენიუს'' პრინციპები, რომელიც სამი მიმართულებისაგან შედგება-**სავალდებულო(უნდა შეასრულოთ ყველა დავალება);არჩევითი (უნდა შეასრულო ჩამოთვლილი დავალებებიდან ერთი მაინც);არასავალდებულო(შეგიძლიათ მოცემული დავალებებიდან შეასრულოთ ერთი, ერთზე მეტი, ან არცერთი);**

მოსწავლეებს ურიგდებათ ამონარიდი ხამურაბის კანონებიდან/კონსტიტუციიდან,პარალელურად ვურიგებ „სასწავლო მენიუს„ ფორმას ზედ დატანილი შესაბამისი კითხვებით სამუშაო ფურცლებთან ერთად და ვთხოვ, რომ პირველ ეტაპზე „ სასწავლო მენიუს'' სავალდებულო ნაწილის ველში დაფიქსირონ ყველა კითხვის პასუხი წერილობით(თუმცა დავალების შესრულება შესაძლებელია ზეპირადაც).

დავალებები„ **სასწავლო მენიუს**'' სავალდებულო ველისათვის:

გაეცანით ხამურაბის კანონების/კონსტიტუციის მუხლებს და უპასუხეთ შემდეგ კითხვებს(სავალდებულოა ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა):

1.გამოყავით ის კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებები,რომელიც იკვეთება ხამურაბის კანონებში;

2.რამდენად მკაცრია დასჯადობის მექანიზმი ხამურაბის კანონის მიხედვით?ჩამოთვალეთ დასჯის ეს სახეები;

3.თქვენი აზრით, ზოგადად, რამ განაპირობა კანონების შემოღება შუამდინარეთში?

4.ხომ არ შეიძლებოდა ყველა იმ დანაშაულის პრევენცია(თავიდან აცილება), რაც ხამურაბის კანონებშია გამოკვეთილი?პასუხი დაასაბუთეთ.

5. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ის საფრთხეები, რაც შეიძლება საზოგადოებას შეექმნას კანონის არარსებობის ან დაუსჯელობის შემთხვევაში.

6. წარადგინეთ შესრულებული სამუშაო კლასის წინაშე.

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან ხამურაბის კანონებიდან კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების გამოკვეთას,ამ დანაშაულების შესაბამისი დასჯის სახეების ამოცნობას, იმსჯელებენ კანონების შექმნის საფუძველზე და დანაშაულის პრევენციის მექანიზმზე და იმ საფრთხეებზე, რომელიც შესაძლოა საზოგადოებას შეექმნას კანონის არარსებობის შემთხვევაში.

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები ხამურაბის კანონიდან გამოკვეთენ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებს შესაბამისი დასჯის მექანიზმით,იმსჯელებენ, თუ რამ განაპირობა კანონების შექმნა და მოიყვანენ არგუმენტებს თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს დანაშაულის პრევენცია, ყურადღება გაამახვილეს იმ საფრთხეებზე, რომელიც საზოგადოებას ემუქრება კანონის არარსებობის შემთხვევაში.

კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური

დროის მენეჯმენტი-12წთ.

აქტივობა#4-,,სასწავლო მენიუ''-მეორე ეტაპი-არჩევითი დავალებები

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს ვაძლევ ინსტრუქციას, რომ გადავდივართ ,,სასწავლო მენიუს'' მეორე ეტაპზე, როდესაც მოცემული დავალებებიდან თქვენ უნდა შეასრულოთ ერთი დავალება მაინც და პასუხები დააფიქსიროთ შესაბამის ველში(არჩევითი ველი) წერილობით(დავალების შესრულება შეგიძლიათ ზეპირადაც).

დავალებები არჩევითი ველისათვის:

ხამურაბის კანონიდან /კონსტიტუციიდან გამოყავით საკვანძო/ძირითადი 5 სიტყვა და ამ სიტყვებზე დაყრდნობით:

1.შექმენი ახალი კანონი, რომელიც უნდა მოარგოთ დღევანდელ რეალობას(მაქსიმუმი სამი მუხლი);

2.წაიკითხე მინი- ლექცია ;

3.შექმენი პლაკატი;

4.დაწერეთ ესე/თემა;

5.გამართე დიალოგი (კანონმდებელთან, დამნაშავესთან);

6.შექმენი ლექსიკონი-ქართულ-რუსული, ქართულ-ინგლისური;

7. მოამზადე კითხვები აუდიტორიისთვის და მიიღე პასუხები;

8.სხვა...

9. წარადგინეთ შესრულებული სამუშაო კლასის წინაშე(გაითვალისწინეთ, კლასის წინაშე თქვენს მიერ შერჩეული აქტივობის წარსადგენად გექნებათ მხოლოდ ერთი წუთი) ;

აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან დიფერენცირებულად შექმნან ახალი პროდუქტი კანონთან მიმართებაში;

აქტივობის შედეგი-მოსწავლეები შექმნიან ახალ პროდუქტს კანონთან მიმართებაში და ახლებურად გაიაზრებენ საკითხს.

კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური

დროის მენეჯმენტი-12 წთ.

აქტივობა#5-,,სასწავლო მენიუ'' -მესამე ეტაპი-არასავალდებულო დავალება

აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს ვაძლევ ინსტრუქციას, რომ გადავდივართ ,,სასწავლო მენიუს''მესამე ეტაპზე,როდესაც მოცემული დავალებებიდან შეგიძლიათ შეასრულოთ ერთი, ერთზე მეტი, ან არცერთი.

დავალებები არასავალდებულო ველისათვის:

1.საქართველოს კონსტიტუციით სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. როგორ მიგაჩნიათ, ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა? პასუხი დაასაბუთეთ.

2. დაასრულეთ წინადადება:მე რომ კანონმდებელი ვიყო.....

3.შესრულებული სამუშაო წარადგინეთ კლასის წინაშე;
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები რომელიმე საკითხის შერჩევის შემთხვევაში შეეცდებიან თავიანთი არჩევანის დასაბუთებას კონკრეტულ კითხვებთან მიმართებაში.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები საკითხის შერჩევის შემთხვევაში წარმოადგენენ თავიანთ შეხედულებებს.
კლასის ორგანიზების ფორმა-ინდივიდუალური
დროის მენეჯმენტი-4წთ.

აქტივობა#6-კლასის კონსტიტუციის შექმნა
აქტივობის აღწერა-მოსწავლეებს ვთხოვ, რომ შექმნან კლასის კონსტიტუცია. ფლიპჩარტზე წინასწარ ჩემ მიერ მოსწავლეებისათვის საორიენტაციოდ დაწერილია ერთი მუხლი, ხოლო ჯგუფებმა უნდა დაამატონ თითო მუხლი. კლასის კონსტიტუცია დაფიქსირდება დაფაზე.
აქტივობის მიზანი-მოსწავლეები შეეცდებიან შექმნან თავიანთი კლასის კონსტიტუცია.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები , როგორც ,,კანონმდებლები'', შექმნიან თავიანთ კლასზე მორგებულ კონსტიტუციას.
კლასის ორგანიზების ფორმა-ჯგუფები
დროის მენეჯმენტი-5წთ.

აქტივობა#7- შეფასება
აქტივობის აღწერა-მოსწავლეთა შეფასება მოხდება მიზნის შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით.
აქტივობის მიზანი-მასწავლებლის უკუკავშირის განხორციელებით მოსწავლეები გაიგებენ, რა გამოუვიდათ კარგად და რისი გაუმჯობესებაა საჭირო.
აქტივობის შედეგი-მოსწავლეები გააკეთებენ კონკრეტულ დასკვნებს მასწავლებლის უკუკავშირიდან გამომდინარე, რომელსაც სამომავლოდ გაითვალისწინებენ.
კლასის ორგანიზების ფორმა-საერთო-საკლასო
დროის მენეჯმენტი-3წთ.

აქტივობა#8-მოსწავლეთა უკუკავშირი
აქტივობის აღწერა-მოსწავლეები ,, კუნძულებზე,, დაყრდნობით დააფიქსირებენ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას/ხარვეზს.
,,კუნძულების''აღწერა-ფლიპჩარტზე დაფიქსირებულია ,,კუნძულები'' შესაბამისი წარწერებით:,,ცოდნის კუნძული'', ,,გაურკვევლობის კუნძული''. მოსწავლეები პატარა ფურცლებზე აკეთებენ წარწერებს , თუ რა ცოდნა მიიღეს ან რომელი საკითხი დარჩა გაურკვეველი და აფიქსირებენ შესაბამის ,,კუნძულზე,,.
აქტივობის მიზანი- მოსწავლეები შეეცდებიან , სისტემაში მოიყვანონ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა.

აქტივობის შედეგი–მოსწავლეები განახორციელებენ უკუკავშირს,,კუნძულებზე'' დაყრდნობით.
კლასის ორგანიზების ფორმა–ინდივიდუალური
დროის მენეჯმენტი–1წთ.